



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/26

„ 4 „ მაისი 2014 წ.

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308
გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-14-მე-15 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. კენჭისყრისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. მოსამართლეობის კანდიდატთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით. იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირს მოსამართლედ დანიშნავს, თუ მის კანდიდატურას კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

2. კენჭისყრა ტარდება სპეციალური ბარათების (ბიულეტენების) მეშვეობით, რომლებზეც აღინიშნება კონკრეტულ რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოში არსებული ვაკანტური თანამდებობის დასახელება და იმ კანდიდატთა სია, რომლებიც აღნიშნულ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში იღებენ მონაწილეობას.

3. თითოეული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ცალ-ცალკე იმართება კენჭისყრა. სასამართლოების რიგითობა განისაზღვრება შემდეგი წესით: თბილისის სააპელაციო სასამართლო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, თბილისის საქალაქო სასამართლო, ბათუმის საქალაქო სასამართლო, ქუთაისის საქალაქო სასამართლო, სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოები ანბანის მიხედვით.

4. კენჭისყრისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია ბიულეტენში შემოხაზოს მხოლოდ ერთი კანდიდატი.

5. კენჭისყრისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ კანდიდატს. შეფასებისას ხელმძღვანელობს ამ წესის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლებით დადგენილი კანდიდატის შეფასების კრიტერიუმებითა და შეფასებათა სახეებით.

6. თუ კენჭისყრის შედეგად ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხმათა რაოდენობა ვერ მიიღო ვერც ერთმა კანდიდატმა, ტარდება ხელახალი კენჭისყრა საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის. თუ პირველის შემდგომი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატებს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობს

ყველა მათგანი. თუ ხელახალი კენჭისყრისას კვლავ ვერ შეირჩა კანდიდატი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო განმეორებით აცხადებს კონკურსს საერთო წესის მიხედვით.

7. ყოველი კონკრეტული კენჭისყრის დამთავრებისთანავე ცხადდება კენჭისყრის შედეგი და ფიქსირდება ოქმში. კანდიდატს, რომელიც გაიმარჯვებს კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე კენჭისყრისას, სხვა ვაკანტურ თანამდებობაზე კენჭი აღარ ეყრება.

მუხლი 15. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა (გამწესება)

იუსტიციის მსმენელის და კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა (გამწესება) ფორმდება გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილებაში აღინიშნება რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლო და ის კოლეგია ან პალატა, სადაც ინიშნება (გამწესდება) კანდიდატი.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

